# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 7 სექტემბერი 1900 წ. № 1232

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლში

---

## ყოველ-თვიური სალიტერატურო და სამეცნიერო
ნამდვილად: წარსული წლების ჟურნალი

**„მოამბე“**

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად, 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

---

## სკოლა და პანსიონი
### ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს უმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. უმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

ადრესი: ოლგინის ქუჩა (Ольгинская ул.), სახლი დროზიშვილისა, ზემმელის აფთექის მახლობლად. (10—4)

---

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.

ადრესი: **RAPHAËL ISARLOFF.**

(ნ. 16—9) **Paris, rue des Ecoles, 40.**


---

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

**„ცნობის ფურცლის“**

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

## ახალი ამბავი

✦ გარდაცვალებულის გენერალ-ლეიტენანტის კ. ქ. მამაცაშვილის ქვრივმა, ნატალია დავითის ასულმა, შემდეგი **სამძიმრის დეპეშა** მიიღო მის უმაღლესობის **დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან:** „აცხონოს ღმერთმა თქვენი ღირსეული ქმარი, სახელოვანი მეომარი კავკასიის არტილერიისა. გიცხადებთ გულითად მონაწილეობას მწუხარებაში, უფალმა მოგცეთ ძალა. მიხეილ.“

✦ გარდაცვალებულის გენ.-ლეიტენანტის **კ. ქ. მამაცაშვილის** გვამს დღეს, დილის 10 საათზე, გამოასვენებენ თავის სახლიდან კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნება სამგლოვიარო წირვა და პანაშვიდი. შემდეგ განსვენებულს წაასვენებენ დიდუბეში და დაკრძალავენ ეკლესიის გალავანში.

✦ ორშაბათს, 4 ენკენისთვეს, ტფილისში დაბრუნდა ჩრდილოეთ კავკასიიდან კავკასიის მთავარმართებლის მეუღლე კ-ნა მ. თ. **გოლიცინისა.**

✦ დღეს, 7 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 1 საათზე, მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. **ფრეზე** მიიღებს სასახლეში მთხოვნელთ.

✦ ტფილისის **სათავად-აზნაურო** ბანკის წესდების ცვლილება, რომელიც ეხლახან მოხდა, შეეხებია წესდების 56 §-ს, სახელდობრ გირავნობის ფურცლების გაბათილების წეს-რიგს. ამიერიდან ბანკს ნება ეძლევა თვით შეისყიდოს ბირჟაზე გირავნობის ფურცლები გასაბათილებლად. ეს ცვლილება თვით ბანკის გამგეობის თხოვნით მოუხდენია ფინანსთა სამინისტროს.

✦ 9 სექტემბერს **თიანეთში** გაიხსნება ტფილისის საოლქო **სასამართლოს სესია** გასარჩევად ადგილობრივ სისხლის სამართლის საქმეებისა. განყოფილების თავმჯდომარედ იქმნება ვ. ვ. ბოლდირევი, წევრებად იქნებიან ი. ო. პარჩევსკი და ვ. თ. პადალკო, ბრალმდებლად—კ. მ. ვორონოვი.

✦ კვირისათვის დანიშნული **არჩევნები** ტფილისის ოლქის **მარშლისა** და მის კანდიდატისა არ შესდგა, რადგანაც კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ სამი მემამულე. ეს არჩევნები ზაფხულში უნდა მომხდარიყო და ჯერაც ვერ მოხერხდა!

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს შეუტყობინებია თავის რწმუნებულისათვის კავკასიაში, რომ მომავალ წლის პირველ იანვრიდან **ისპობა თანამდებობა** საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტთა თანაშემწეებისაო.

იქნება ამან ცოტათი მაინც შეამციროს ნამეტნავად გადიდებული ხარჯები ხსენებულ კომიტეტისა, რომელიც, მაგალითად, მომავალ წლისთვის თხოულობს 97 ათას მანეთის კრედიტს!

✦ ვინც რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს მიჰმართავს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის სესხის მისაღებად, მათ მარტო ამ სესხის შესახებ არსებულ კანონით არ უნდა იხელმძღვანელონ და უნდა მიჰმართონ აგრეთვე სასოფლო ეკონომიის განყოფილების მიერ შედგენილ ინსტრუქციას აღნიშნულ სესხის შესახებ, რომელშიაც დაწვრილებით არის განმარტებული თითოეული დებულება ამ კანონისა. ყველაზე მეტის ყურადღების ღირსნი არიან ამათგან შემდეგი დებულებანი: 1) სესხი, რომელიც ბაღოსნობისათვის მიეცემა, არ შეიძლება სავაჭრო, საბაღოსნო და ხეხილის სანერგეებს მოხმარდეს; 2) სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი (ერბოსი, ყველის გასაწური ქარხანა და სხვა) მხოლოდ იმ ზომისანი უნდა იყვნენ, რასაც სესხის ამღების მამულში მოწეული საქონელი მოითხოვს და დამუშავდება; 3) აღებული სესხით ნასყიდი საუკეთესო ჯიშის საქონელი მამულს არ უნდა მოსცილდეს და არ გაიყიდოს იმ დრომდე, ვიდრე სესხს არ გარდიხდის მემამულე; 4) სატყეო-სატეხნიკო წარმოებად, რომელშიაც მემამულეებს სესხი

ეძლევა, მიღებულია: ხე-ტყის სახერხი ქარხნები და სხ.

✦ ტფილისის სავაჭრო სასწავლებელში ეგზამენები დანიშნულია შაბათს, 9 ენკენისთვეს, ორშაბათს, 11 ენკენისთვეს და სამშაბათს, 12 ენკენისთვეს; შაბათს — მოსამზადებელ კლასში, ხოლო ორშაბათსა და სამშაბათს — პირველში. სასწავლებლის დირექცია აცხადებს, რომ იმ მშობლებმა, რომელთა შვილები მაისში იქმნენ მიღებულნი სასწავლებელში, 9 ენკენისთვემდე უნდა შეიტანონ ნახევარი წლის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ადგილას სხვები იქმნებიან მიღებულნი.

✦ სამხედრო სამინისტროსთან შემდგარმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი ახალის სკოლებისა კადეტის კორპუსთა ხუთის კლასის კურსით, რომელშიაც მხოლოდ თავად-აზნაურთა შვილებს შეეძლებათ სწავლა. ამ სკოლებში, სხვათა შორის, ასწავლიან აგრეთვე ორს ახალს ენას სრულიად ახალის აჩქარებულის მეტოდით. აღნიშნული სკოლები ქალაქ-გარედ იქმნება გახსნილი. ხარჯი სკოლების შესანახად, სადაც კი გაიხსნება ამ ტიპის სკოლა, ნახევარი თავად-აზნაურობას გარდაეხდება, ნახევარს ხაზინა გაიღებს. ეს სკოლები სამხედრო სასწავლებლების მთავარ-სამმართველოს გამგეობის ქვეშ იქმნება. („ივერია“).

✦ ტფილისის სახაზინო თეატრას დირექციამ გუშინ გამოაცხადა, რომ საოპერო სეზონი იწყება კვირას, 10 სექტემბერსაო. როგორც სჩანს განცხადებიდან, წლევანდელი ტრუპპა სუსტი იქმნება: მომღერალ ქალებში სულ ახალი გვარებია და თითქმის სრულიად უცნობი; ძველებიდან მხოლოდ ქ-ნი პაპაიანია, რომელიც ეს მესამე სეზონი იქმნება ტფილისში ზედი-ზედ. ტენორებში მხოლოდ ორია დასახელებული: ბ. ბორისენკო, რომელმაც კარგად მოაბეზრა თავი ტფილისელებს და ბ. ერნესტი. გარდა ამისა, გასტროლერად გამოცხადებულია „ცნობილი იტალიელი ტენორი“ პიკალუგა (იტალიელი უთუოდ „ცნობილი“ უნდა იყოს!). ბარიტონებში ველარ ვხედავთ მაკსაკოვს, ხოლო ჩამოთვლილებში მის მაგიერობას ვერავინ გასწევს ღირსეულად. თუმცა დირექციას ტრუპპის გაუმჯობესობისათვის არ უზრუნავს, სამაგიეროდ ძალიან ცდილა ბალეტის გაუმჯობესობისათვის: დიდი და მშვენიერი საბალეტო დასი გვეყოლებაო, ამაყად ამბობს დირექციის განცხადება!..

✦ სიღნაღის მაზრიდან იწერებიან, რომ იქ დაიწია პურისა და სიმინდის ფასებმა; სამაგიეროდ ღვინის ფასი საგრძნობლად მატულობს.

✦ სიღნაღის მაზრიდან „ტფ. ლისტოკ“-ს სწერენ, რომ იქ წელს კარგი მოსავალია პურისა და ხილისა, რაც შეეხება ყურძენს, იგი ნაკლებად მოვა, რადგანაც ვენახები დააზარალა მუდმივმა წვიმებმა და ვაზის ავადმყოფობამ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით, 12 ენკენისთვეს მოჰხდება კრება ტრაქტარების პატრონებისა, რომლებმაც უნდა აირჩიონ კომისია სატრაქტირო გარდასახადის განაწილებისათვის.

✦ 18 ოქტომბერს ტფილისის საოლქო სასამართლოში, „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, გაირჩევა საქმე ტფილისის მოქალაქეთა სოლომონ ერემოვისა და ბაგრატა მუნთოევისა, რომელთაც ჰბრალდებათ ყალბი ხუთ მანეთიანების გასაღება 1897—1899 წლებში.

✦ ტფილისის ბოტანიკურს ბაღს ზაფხულში ჰქონდა გასასყიდად 250 ათასზე მეტი ხეხილი. ამათგან ამ ჟამად 200 ათასზე მეტი უკვე გაიყიდა; ხეებს იწერდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებიდან და ახლაც მრავალი თხოვნები მოდის.

✦ ეს სამი ოთხი დღეა ტფილისში მალიან აცივდა. როგორც აქ ამბავი მოვიდა, ახლო-მახლო მთები ჩამოუთოვია; თოვლი მოსულა აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზაზე, ბორჯომის მთებში, ყარსის მიდამოებში და სხვაგანაც.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ ამ დღეებში მარსელიდან წავიდა შორეულს აღმოსავლეთში საფრანგეთის პოლკოვნიკი მარშანი. წასვლის წინ ის ინახულეს ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა. მარშანმა მათ რამდენიმე საყურადღებო ცნობა შეატყობინა შესახებ საერთაშორისო სამხედრო კომისიისა, რომელიც დაარსებული იქმნა ჩინეთში და რომლის წევრად მარშანიც იქნება საფრანგეთის წარმომადგენლად. უეჭველად ოფიცერთა კომისიაში ფელდმარშალი ვალდერზე მხოლოდ თავმჯდომარე იქნება და არა უფროსი. შეერთებულ ჯარებს ჩინეთში არ ეყოლება უმთავრესი შტაბი, მაშასადამე არც შტაბის უფროსი იქნება. ვალდერზეს შტაბი განაგებს მხოლოდ გერმანელთა ჯარის საქმეებს. საფრანგეთის დელეგაცია შესდგება 14 ან 15 ოფიცრისაგან. სხვა სახელმწიფოებსაც რამდენიმე ოფიცერი ეყოლება კომისიაში. კომისიის საქმე იქნება: საერთა-შორის ჯარებისთვის ადგილების დანიშნა და უმთავრეს სამხედრო განკარგულებათა მოხდენა.

∝ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე ადგენს ეგრედ წოდებულ „ყვითელ წიგნს“, რომელშიაც მოთავსებული იქნება საყურადღებო საბუთები ჩინეთის საქმეების შესახებ. სხვათა შორის დელკასე ამტკიცებს, რომ საფრანგეთის მთავრობა მარტშივე აფრთხილებდა სახელმწიფოებს — საჭიროა ზომების მიღება და ჩინეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოხდენაო, მაგრამ გერმანია და ინგლისი წინააღმდეგნი შეიქნენ საფრანგეთის წინადადებისაო და ევროპის სახელმწიფოთა საერთო ინდიფერენტიზმმა წააქეზა ჩინეთის მთავრობაცაო. საფრანგეთის ელჩი პიშონი მარტშივე ჰგზავნიდა გასაფრთხილებელ დეპეშებს და მის დარიგებისამებრ რომ მოქცეულიყვნითო, ჩინეთში ამბოხება არ მოხდებოდაო.

∝ ამერიკულ გაზეთებში დაბეჭდილია შეერთებული შტატების პრეზიდენტის მაკ-კინლეის წერილი, რომელშიაც მაკ-კინლეი აცხადებს თანხმობას გამოვიდეს რესპუბლიკელთა დასის კანდიდატად პრეზიდენტის თანამდებობაზე. ეს წერილი არის პასუხი დემოკრატთა დასის კანდიდატის ბრაიანისაგან ინდიანოპოლიში წარმოთქმული სიტყვისა. მაკ-კინლეი სრულიად ეთანხმება ფილადელფიის კონვენციის პროგრამმას. პირველ ალაგს თავის წერილში ის უთმობს ვალიუტას და ამით გვიჩვენებს, რომ მას განზრახვა აქვს იბრძოლოს ისევ იმ ნიადაგზედ, როგორც 1896 წ. იმპერიალიზმის შესახებ კი, რომელზედაც უმთავრესად ილაპარაკა მისმა მოწინააღმდეგემ, მაკ-კინლეი მხოლოდ წერილის ბოლოში ლაპარაკობს, თითქო ეს იყოს მცირე მნიშვნელოვანი საგანი, მიუხედავად იმ ამბებისა, რომელიც მოხდა ამ ბოლოს დროს კუბაზედ და ფილიპინებზედ.

მაკ-კინლეი არჩევს და ამართლებს შეერთებული შტატების ქცევას ბურთა და ინგლისელთ ომის შესახებ.

მას ჩამოთვლილი აქვს ყველა ის გარემოებები, რომელთა წყალობითაც ამერიკას მოუხდა ფილიპინების დაჭერა და ბოლოს ამბობს, რომ ამერიკის მთავრობა ცდილობდა ყოველის ღონის-ძიებით მხოლოდ იმას, რომ უზრუნველ ჰყოს თავისუფლება, მშვიდობა და კეთილ-დღეობა ფილიპინელთა, და ამერიკელ ჯარები ებრძოდნენ მხოლოდ იმათ, ვინც ხელს უშლიდნენ ამ მიზანთა აღსრულებას.

ვერავინ ვერ [illegible] — განაგრძობს პრეზიდენტი, იმის დამტკიცებას, რომ შეერთებულ შტატებს აღუთქვა ფილიპინების დამოუკიდებლობა. ისპანიის ფლოტის განადგურების აქედ არა ყოფილა ჯერ ისეთი დრო, რომ ამერიკელი ჯარების გამოყვანა კუნძულებიდან შესაძლებელი ყოფილიყო. მეამბოხეთა შორის გავრცელებულმა ხმამ, ვითომ დემოკრატთა დასის გამარჯვების შემდეგ ფილიპინები განთავისუფლებულ იქმნებიანო, უფრო გააძლიერა მეამბოხეთა მხნეობა და იძულებულ-ჰყო მრავალი ჯარის ყოლა კუნძულებზედ და დაავგიანა ზავის შეკვრა.

ჩვენს უფლებას ფილიპინების კუნძულებზედ არავინ უარსჰყოფს. ისინი კი, ვინც ეჭვობენ, რომ ჩვენ გარდა პატიოსან ლიბერალურ წადილისა სხვა რამე ცუდი გვეწადოს შესახებ ფილიპინებისა, ვერ მოახერხებენ თავიანთ ცილის წამების დამტკიცებას. იმპერიალიზმს არავითარი ადგილი არა აქვს მთავრობის ქცევასა და მოქმედებაში. საფუძველი და სიმაგრე რესპუბლიკელთ დასისა — არის თავისუფლება. ის სურვილი კი, რომ ჩვენი კონსტიტუციის წესები გავრცელებულ იქმნას ფილიპინებზედაც — სხვა არა არის რა, გარდა ფარისევლობისა. ამერიკის ერი ისეთ მდგომარეობაშია ეხლა, რომ ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა, ან უნდა უარ-ჰყოს ამ მოვალეობის შესრულება. ჩვენ არა გვაქვს ეჭვი, რომ იგი არჩევს მოვალეობის შესრულებას და არა უგუნურებას, რესპუბლიკას და არა ანარქიას, ანუ იმპერიალიზმს.

ჩინეთის შესახებ მაკ-კინლეი ამბობს, რომ შეერთებული შტატები მისდევენ ამ საქმეში მტკიცედ განსაზღვრულს მიზანს და რომ მთავრობა არ გადუხვევს ამ არჩეულს გზას.

∝ რუსების ჯარის ნაწილი უკვე წავიდა პეკინიდან ტიან-ძინში, მეორე ნაწილი კი დარჩება, როგორც ამბობენ, პეკინში ამ ზამთარსაც. დანარჩენ სახელმწიფოებს კი ფიქრადაც არ მოსვლიათ პეკინიდან ჯარები გამოიყვანონ. საფრანგეთსაც თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა ჯარების გამოყვანა, მაგრამ ჯერ არა თუ არ გამოჰყავს, პირიქით, როგორც უკანასკნელი დეპეშები იუწყებიან, კიდევ ჰგზავნის მაშველს ჯარს ჩინეთში.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ჩინეთის რკინის გზის უმთავრესი ლიანდაგი ავაგაიდან პოგრანიჩნაიამდე 1,310 ვერსის სიგრძეზე, გაიარეს ჩვენმა ჯა-

მარე და განდევნეს ჩინეთის რაზმები; რკინის გზის ყველა მოსამსახურეები და რუსი მუშები, რომლებიც მანჯურიიდან წავიდნენ ხაბაროვსკში, ნიკოლსკში და ვლადივოსტოკში, დაბრუნდნენ ლიაოდუნზედ.

**ლორენცო მარკეზე.** კომატიპორტი გუშინ გაცარცვეს და გადასწვეს უცხოელმა დაქირავებულმა ჯარმა, რადგანაც მოელოდნენ, რომ ინგლისელები ჩქარა დაიჭერდნენ ამ ადგილს. ბურებმა დაიწიეს ზუტპანსბერგისკენ.

**პიტერმარიცბურგი.** ამტკიცებენ, რომ რობერტსი პრეტორიიდან ინგლისში წავა სექტემბრის 20 რიცხვებში.

**პეკინი.** რათა მოსპონ ცარცვა, დაწესებულია სურსათის გამგე რაზმებს თითო ოფიცერი მიუჩემონ, რომელმაც უნდა გააწეს-რიგოს სურსათის დარიგების საქმე.

**გაააა.** დეპუტატთა კრება დღეს გაიხსნა სიტყვით, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია, რომ სამშვიდობო კონფერენციის დადგენილებები დამტკიცებულია ყველა სახელმწიფოებისაგან და იმედია, რომ საერთა შორისო სამედიატორო სასამართლოს ბიურო, რომელიც ჩქარა იქნება დაარსებული გააგაში, შეასრულებს თავის დანიშნულებას საერთა შორისო უთანხმოებათა მოსპობის საქმეში.

**პეკინი** რუსეთის ელჩმა გირსმა რამდენიმე დღით გადადვა წასვლა; რუსეთის ჯარებმა მიიღეს ბრძანება, რომ მოსპონ დამზადება ზამთრის გასატერებლად პეკინში.

**ლონდონი.** იუნგ-ლუს დანიშვნა მესამე რწმუნებულად იწვევს ძალიან მტკიცე წინააღმდეგობას. როგორც ეხლა ირკვევა, იუნგ-ლუს ჯარს მიუღია მონაწილეობა საელჩოებზედ თავ-დასხმაში თვით იუნგლუს ბრძანებით. მაგრამ ბოლოს დროს კი იუნგლუ ექცეოდა უცხოელთ უფრო მეტის თავაზით; საელჩოებზედ თავ-დასხმაში იღებდნენ მონაწილეობას აგრეთვე ცინის ჯარებიც, რომელთაც ჰქონდათ მისი დროშა, მაგრამ მის თანხმობით თუ მოქმედებდნენ ჯარები, ეს ნამდვილად არ არის დამტკიცებული; რადგანაც ცინი საზოგადოდ მეგობრულად ექცეოდა უცხოელთ, ჰფიქრობენ, რომ იმის ჯარებს არ ჰქონდათ მისგან აღებული ნება-რთვა.

**პეკინი.** რუსეთის ელჩს ებძანა წამოვიდეს პეკინიდან. რობერტ გარტმა შეატყობინა გენერლებს, რომ ისინი მოემზადნენ მომავალ სამხედრო მოქმედებისათვის, რადგანაც ჩინეთის ჯარები გროვდებიან და გვემუქრიან გზის. შეკერასიგი ჰფიქრობს, რომ ნოემბრის განმავლობაში შესაძლებელი იქნება კიდევ ომები. ლიხუნჩანგის მოსლამდე არ დაიწყება მოლაპარაკება ზავის შესახებ.

**შანჰაი.** ლიხუნჩანგის წასვლას კიდევ ცუდი ამინდი აბრკოლებს.

**გონკონგი.** დასავლეთის მდინარის მხრიდან იტყობინებიან, რომ იქ ყოველ ქალაქში ჩინეთის ჯარები ვარჯიშობენ და საომარი ნავები სწრაფად წინ და უკან მირბი-მორბიან მდინარეზედ; ცხადია, რომ აპირობენ მოქმედებას, მაგრამ რანაირს,—ამის თქმა შეუძლებელია

**გონკონგი.** ვალდერზეე მოვიდა აქ გემ „საქსენზედ"

**გლასგო.** დღეს კიდევ მოკვდა ერთი შავი ჭირისაგან. სულ ავად გამხდარან აქამდე 21 კაცი; მკურნალების მხედველობის ქვეშ არიან 110 კაცი.

**პეკინი.** 300 კაცი ამერიკელის ცხენოსანის ჯარისა წავლენ ხვალ ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ შეწუხებულ ქრისტიანების საშველად და ადგილის დასათვალიერებლად. განზრახულია კიდევ სხვა ამისთანა ექსპედიციები. ყველა ერებმა დააწესეს ცალკე სასამართლოები; გერმანელები ქურდობისათვის დამნაშავეთ სიკვდილითა სჯიან.

**ბერლინი.** გერმანიის ელჩებმა ლონდონში, პარიჟში, პეტერბურგში, რომში, ვაშინგტონში, ვენაში და ტოკიოში მიიღეს ცირკულიარული დეპეშა, რომლით გერმანიის მთავრობა დიპლომატურ მოლაპარაკების დაწყობის აუცილებელ პირობათ სთვლის იმას, რომ ჩინეთმა მისცეს უცხოელთ პეკინში მომხდარ უწესოების მოთავეები. სახელმწიფოების წარმომადგენლებს შეეძლებათ გაიგონ, ვინ არიან ისინი და მთავრობას იმედი აქვს ყველა კაბინეტების ერთ აზროვნობისა ამ საქმის შესახებ და ამიტომ წინადადებას აძლევს სახელმწიფოებს მიანდონ თავიანთ წარმომადგენლებს პეკინში დაასახელონ ნამდვილი დამნაშავენი ჩადენილ დანაშაულებათა.

**პეტერბურგის ბირჟა 5 სექტემბერს**

| | მყიდველნი | გაყიდულია | გამყიდველნი |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო | შ ა | ნ ა | თ ი |
| რენტა.... | — | — | 96¼ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | — | 99¼ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 324 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 281¼ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 210½ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88¼ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადევი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 | გ. 8½ | კ. |
| სუკი . . . . . | » | — 15 | კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — 8½ | კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 | კ. |
| » კამეჩისა » » | » | — 5 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ჯვარი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 | « |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | 3½ | » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | « |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოგზალზე: | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ.. |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . . | 1 | —მ. | —70 | კ. |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | —65 | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | —20 | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 15 10 | — |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 30 | — — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | — — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | — — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | — — |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 23 | — — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნადკვი 36 მ. მხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრულიც 5 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა ახარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბამისი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.,

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1900 წლის 9 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე,

## დანიშნულია საჯარო ვაჭრობა,

რომლითაც გაიცემა იჯარით სამუშაო მე-2 გუნიბის ქუჩის მოკირწყლისათვის, 292 ოთხკუთხი საჟენი, 1022 მანათისა და 80 კაპ.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—1)

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია

და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები მველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.

— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჰიჰინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღა-მამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ყდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ზ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭვარი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბან», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.

გოგებაშვილი ი. დედა-ენა ყდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროს კლასებში სახმარებელი, ყდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.
— **Русское слово** ნაწ. 1 ყდ. 40 კ.
— **Русское слово** ნაწ. II ყდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძემ. **Учебникъ грузинскаго языка для русскихъ.** 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ზანჯვლიანი ფეუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები. 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუმანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.
ცისე. თარგ. 5 კ.
ნხუზი ერთი გვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაზოლარა ფ. «ივერია» და «მეველე».
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჰიჰინაძე ზ. ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XIII-დ XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— გ. ორბელიანი. 20 კ.
— ტულუზაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. ძირითადი უკუღმართობა. 20 კ.

ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე. რეინეკე კუდა-მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ეჟი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ.
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები გეთხის-ეტაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. კეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი მადლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.
— ორშა, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. ძმური სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ქანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდევნა, პოემიდან «რამიანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მამიებელნი» და «პირის-პირ». 20 კ.

სოლომონ მსაჯული. ცოდვა ირაკლი მეორისა. 5 კ.
ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს 5.
ფურცელაძე ან. ლექსები და პოემები. 40.
— მარაბდა, პოემა. 20 კ.
— წყალობა, პოემა. 20 კ.
— მაცი ხვიტია, რომანი. 40 კ.
— ავაზაკნი. 30 კ.
— სამი პოემა. 40 კ.
— შოთა და მისი ცოლი 10 კ.
ქართველ ქალთა ნათარგმნი მოთხრობები I წ. 40.
ქალები, თ. სახოკიასი. 20 კ.
ყაზბეგი იური. სამშობლოსათვის თავდადება. 5 კ.
შექსპირი. ოტელო. 50 კ.
— მაკბეტი. 40 კ.
— რიჩარდ მესამე. 40 კ.
— იულიოს კეისარი. 30 კ.
შილლერი. ვილჰელმ ტელი. 15 კ.
ცახელი. ზარნაშო, პოემა. 15 კ.
— გურგენ რაინდი, პოემა 30 კ.
ცშოკე. ოქროს მოყვარულები. 15 კ.
აკაკი. სამ-გვარი სიყვარული. 30 კ.
— ანდრია პირველი წოდებული პოემა. 5 კ.
— თორნიკე ერისთავი პოემა. 1 მ.
წერეთელი გ. ლომ-კაცი პოემა. 60 კ.
წითლიძე ა. ძმა ძმის მტერი. 10 კ.
წულაძე ლ. ზანგის სამკვიდრო. 10 კ.
ჰონქაძე დ. სურამის ციხე 25 კ.
ჰიჰინაძე ზ. ჭონის შეგირდი. 7 კ.
ხონელი მ. ამირან-დარეჯანიანი. 1 მ.
ჯიაკომეტი. ივდითი, ტრაგედია 30 კ.

—

ქორიძე ფ. სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. 60 კ.
რატილი ი. ალილო, შიგნით კახეთის კილო ნოტებზე გადაღებული. 50 კ.

—

ეფიმერტე. ქართულად თარგ. 1 მ.
მირაქოვი. ნაპერწკალი, ნაწყვეტები და მოსწრებული სიტყვები. 20 კ.
დადიანი ნ. საამდროვო გამოცანები 15 კ.
ტარუაშვილი გოტიგური ანბანი 5 კ.

სურათები

თოიძე მ. ერისთავი რაფიელ. 20 კ.
— იგივე. კარგს ქაღალდზე 30 კ.
— ნინოშვილი ეგნატე. 15 კ.
— იგივე. კარგ. ქაღალდზე. 25 კ.
— რუსთაველი შოთა. 20 კ.
— ჭავჭავაძე ილია. 25 კ.
— მეფე ერეკლე. 20 კ.
— იგ. კარგ ქაღალდზე. 25 კ.

პროვინციაში მცხოვრებთ წიგნები ფას დადებით შეუძლიანთ გაიწერონ, მხოლოდ წიგნების ფასის 25% (პროცენტი) წინათვე უნდა გამოგზავნონ.

წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით: **Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.**

გამომც. ვ. გუნია